ფასიანი პოლიტიკური რეკლამა

ფასიანი პოლიტიკური რეკლამა

ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. № 45 (10239) 10 ნოემბერი, 2017 წ. ფასი 30 თეთრი.

ბრიფინგი

დამოუკიდებელი მერობის კანდიდატის საარჩევნო შტაბი ითხოვს შეწყდეს ამომრჩევლებზე ზეწოლა

ოზურგეთის მერობის პოსტზე დამოუკიდებელი კანდიდატის, კონსტანტინე შარაშენიძის შტაბი, ამავე პოსტზე მმართველი პარტიის, ბეგლარ სიორიძის კანდიდატურის მოხსნას და მის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრას ითხოვს, რადგან მეტოქე გუნდი სოფელ ოზურგეთის საუბნო საარჩევნო კომისიის წარმომადგენელ გიორგი როყვაზე, შანტაჟსა და იძულებას მიმართავს.

ალიონი. 8 ნოემბერს, ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერობის დამოუკიდებელი კანდიდატის, კონსტანტინე შარაშენიძის შტაბის ხელმძღვანელმა **ირაკლი სირაძემ** ცენტრალურ და ადგილობრივ მედიასაშუალებებთან ბრიფინგი გამართა.

– შტაბში შემოდის ძალიან ბევრი ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ოზურგეთის სოფლებში ბეგლარ სიორიძის შტაბის წევრები და თავად მერობის კანდიდატი ახორციელებენ შანტაჟსა და ზეწოლას. ასეთი ინფორმაციის გავრცელებისაგან თავს ვიკავებდით, რადგანაც ვერიდებოდით ამომრჩევლებისათვის შემდგომი პრობლემების შექმნას. თუმცა მოცემული შემთხვევა განსაკუთრებულია, რადგანაც მოხდა ფაქტების ფაბრიკაცია და ამის საშუალებით საინფორმაციო შეტევის განხორციელება ჩვენზე–განაცხადა ჟურნალისტებთან ირაკლი სირაძემ და კონკრეტული ფაქტი მოიყვანა:

–ერთ-ერთი მედიასაშუალების მიერ გავრცელდა ინფორმაცია გიორგი როყვასთან დაკავშირებით, რომელიც არ შეესაბამება სინამდვილეს. გიორგი როყვა ჩემი მეგობარია და მან თავად გადმომცა თავისი პირადობის მოწმობის ასლი და სურვილი გამოთქვა, შარაშენიძის წარმომადგენელი ყოფილიყო სოფელ ოზურგეთში.

„მართლა ვერაფერი გავიგე. არც ის ვიცი საიდან აქ-

გვ-3

არჩილ თალაკვაძემ და თბილისიდან ჩამოსულმა მისმა თანაგუნდელმა ლიდერებმა „ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატის მხარდაჭერა სოფელ ძიმითში გამართული შეხვედრით დაიწყეს

საქართველოს პარლამენტის უმრავლესობის ლიდერმა, ოზურგეთის მაჟორიტარმა დეპუტატმა არჩილ თალაკვაძემ და დედაქალაქიდან ჩამოსულმა მისმა თანაგუნდელმა ლიდერებმა პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ, 21 ოქტომბრის თვითმმართველობის არჩევნებში გამარჯვებულმა, აწ უკვე ქალაქ თბილისის მერმა კახი კალაძემ, საქართველოს პარლამენტის წევრმა მამუკა მდინარაძემ ოზურგეთში „ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატის მხარდაჭერა სოფელ ძიმითში, ახალგახსნილ კულტურის სახლში შეკრებილ ამომრჩეველთან გამართული შეხვედრით დაიწყეს.

არჩილ თალაკვაძე: ორი სიტყვით მინდა ვთქვა ის ძირითადი არგუმენტები და ის ძირითადი საქმე, რისი გაკეთებაც, საზოგადოების მხარდაჭერით, ხელისუფლებამ ამ წლების განმავლობაში მოახერხა. პირველი და უმთავრესი, რაზეც კახი კალაძე თავის საარჩევნო კამპანიაში ყველა ადამიანს ეუბნებოდა, არის ის, რომ სახელმწიფოს აზროვნების ცენტრში, სახელმწიფოს ფიქრში, სახელმწიფოს მოქმედებებში დაბრუნდა ადამიანი, დაბრუნდა ადამიანის ინტერესი, ადამიანის თავისუფლება და დღეს მგონი ყველა დარწმუ-

გვ-3

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 20 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 50 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 2 ლარი,
სამი თვით – 6 ლარი,
6 თვით –12 ლარი,
ერთი წლით – 24 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისავან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100

საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა
ვიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაინყეთ ყოველი ოთხშაბათი ალიონზე

«ალიონით»

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერობის კანდიდატები

ოზურგეთის №60 საარჩევნო ოლქი

12 ნოემბერი, 2017 წელი

ბეგლარ სიორიძე

„ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო" № 41

დაიბადა 1965 წლის 18 იანვარს ქ. ოზურგეთში;

1981 წელს დაამთავრა ოზურგეთის რაიონის სოფელ კონჭკათის საჯარო სკოლა;

1988 წელს დაამთავრა საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის სუბტროპიკული ფაკულტეტი ქ. სოხუმში;

1988 - 1990 წლებში მუშაობდა ქ. ოზურგეთში (ყოფილი მახარაძე) კულტურისა და სპორტის განყოფილებაში;

1991 - 1997 წლებში იყო გურიის პირველი დამოუკიდებელი ტელევიზიის (ტელეკომპანია „გურია“) ჯერ კომერციული, შემდეგ კი გენერალური დირექტორი;

1997 - 2005 წლებში ეკავა შპს „ევროცენტრის“ გენერალური დირექტორის თანამდებობა;

2000 - 2008 წლებში იყო შპს „ქართული თხილი სიო 2000“- ის დირექტორი;

2000 - 2010 წლებში ეკავა შპს „თხილის საექსპორტო კომპანიის“ გენერალური დირექტორის თანამდებობა;

2014 წლის აგვისტოდან ბოლო დრომდე იყო ქალაქ ოზურგეთის მერი;

ფლობს გერმანულ და რუსულ ენებს;

ჰყავს მეუღლე და ვაჟიშვილი.

კონსტანტინე შარაშენიძე

დამოუკიდებელი კანდიდატი №42

დაიბადა 07.02.1973. დაამთავრა ოზურგეთის მე-2 საშუალო სკოლა. 1995 წელს - - თბილისის ბიზნესისა და მარკეტინგის უმაღლესი სკოლა/ინსტიტუტის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ფაკულტეტი. მინიჭებული ხარისხი/კვალიფიკაცია-ეკონომისტი-მენეჯერი. 1990-1991 წწ - საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო-საკონსულტაციო ცენტრი-მენეჯმენტის ფაკულტეტი.

მინიჭებული ხარისხი/კვალიფიკაცია- მენეჯერი. 1996-1997 წწ - სოფელ დვაბზუს გამგებელი. 1997-1998 წწ გურიის მხარეში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის აპარატი-სამდივნოს უფროსი.

1998-1999წწ - გურიის მხარეში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის აპარატი-წამყვანი მრჩეველი.

2000-2002 წწ საქართველოს ანტიმონოპოლიური სამსახური-კონკურენციის განვითარების განყოფილების მთავარი სპეციალისტი.

2002-2006 წწ გურიის აგრობიზნესცენტრი-ფერმერულ ასოციაციებთან ურთიერთობის მენეჯერი. 2008-2010 წწ - სს ""ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია"" ოზურგეთის რაიონის დაბა ურეკის ავტომგასამართი სადგურის მენეჯერი.

2012-2014წწ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი.

2014-2017 ""Cartu Group Holding"" - აჭარა-გურიის რაიონის სამშენებლო სამუშაოების ხელმძღვანელი.

არჩევნების მე-2 ტურთან დაკავშირებით სადამკვირვებლო და მედია ორგანიზაციებს და მათ წარმომადგენლებს უფლებამოსილების ვადა უგრძელდებათ

თვითმმართველი ქალაქის/ თვითთმმართველი თემის მერის 2017 წლის 21 ოქტომბრის არჩევნების მეორე ტურის 12 ნოემბერს გამართვასთან დაკავშირებით, ცესკოში და შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიებში რეგისტრირებულ სადამკვირვებლო და მედია ორგანიზაციებსა და მათ წარმომადგენლებს უფლებამოსილების ვადა გაუგრძელდათ.

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში რეგისტრირებულ სადამკვირვებლო ორგანიზაციებსა და მათ მიერ რეგისტრირებულ დამკვირვებლებს, უფლებამოსილების ვადა უგრძელდებათ მეორე ტურის შედეგების გასაჩივრების ვადის ამოწურვამდე. რაც შეეხება საოლქო საარჩევნო კომისიაში რეგისტრირებულ სადამკვირვებლო ორგანიზაციას და მის რეგისტრირებულ დამკვირვებლებს, მათ უფლებამოსილების ვადა უგრძელდებათ მეორე ტურის შედეგების გასაჩივრების ვადის ამოწურვამდე იმ შემთხვევაში, თუ ეს ორგანიზაცია დარეგისტრირებულია იმ საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ, სადაც მეორე ტური იმართება.

მეორე ტურის საბოლოო შედეგების გამოცხადების დღის ჩათვლით უგრძელდებათ აკრედიტაცია ცესკოში აკრედიტებულ მედია ორგანიზაციებსა და მათ წარმომადგენლებს აგრეთვე იმ მედია ორგანიზაციებსა და მათ წარმომადგენლებს, რომლებიც აკრედიტებული არიან იმ საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ, სადაც მეორე ტური იმართება.

რეგისტრირებულ სადამკვირვებლო და აკრედიტებულ მედიაორგანიზაციებს, შესაბამის საარჩევნო კომისიებში დამატებითი დამკვირვებლების/წარმომადგენლების სიების წარდგენა შეუძლიათ მეორე ტურის გამართვის დღემდე არაუგვიანეს მე-3 დღისა (9 ნოემბერი 18:00 სთ).

მილოცვები

ბადრი მდინარაძეს

ვინც იცის და ახლა ვინც გაიგებს, რომ 15 ნოემბერს 80 წელი გისრულდება, ყველა გულთბილად მოგილოცავს იუბილეს.

შენზე იცყვიან, რომ ხარ განათლებული, ჯულტურული და ვეთილსინდისიერი პიროვნება.

დაგილოცავენ შენს დიდ ოჯახს, რომელიც მშვენიერ ქალმაცონ იზლდა არონიშიძესთან ერთად შექმენი.

მედნიერებას უსურვებენ შენს შვილებს, შვილიშვილებს, შვილთაშვილებსა და დანარჩენ შინაურებს.

პატივს მიაგებენ შენი მართლაც კარგი მშობლების ეთერ წითლიძისა და მიცუშა (მას ყველა ასე ებახდა) მდინარაძის ნათელ სსოვნას.

ვიცი, შეგვხმიანებიან შენი სულიერი დები და ძმები, მეგობრები და მეზობლები, მათ შორის მეც ვარ.

ჩვენ, ყველანი ერთად, უპირველესად, ჯანმრთელობას გისურვებთ, დიდხანს იცოცხლე!

გულსუნდა მახარაძე.

ოთარ გაგუას



ვულოცავთ პედაგოგს, მთისპირის საშუალო სკოლის ცოფილ დირექტორს, ამჟამად სამთოელს, კარგ მეუღლეს და ოჯახის მამას ოთარ გაგუას დამადებიდან 60 წლისთავს. ვუსურვებთ სიკეთეს და წარმატებებს.

მეგობრები

ოზურგეთის ასფალტ-ბეტონის საწარმოში 35 ადგილობრივი დაასაქმა

„აწარმოე საქართველოში“ პროგრამის მხარდაჭერით ოზურგეთში ასფალტ-ბეტონის გადამამუშავებელი საწარმო 5 თვის წინ გაიხსნა.

შპს „ახალი ქარხანა“ გურიანთის ადმინისტაციულ ერთეულში მდებარეობს და გახსნიდან დღემდე 25 000 ტონამდე ასფალტი გადაამუშავა.

ქარხანა ოზურგეთში, ლანჩხუთში, ჩოხატაურში, ფოთსა და ქობულეთში არსებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებს ემსახურება.

საწარმოში დასაქმებულია 35-მდე ადგილობრივი.

პროექტის ღირებულება 1 00000 ლარს შეადგენს.

არჩილ თალაკვაძემ და თბილისიდან ჩამოსულმა მისმა თანაგუნდელმა ლიდერებმა „ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატის მხარდაჭერა სოფელ ძიმითში გამართული შეხვედრით დაიწყეს

ნებული ვართ, რომ სწორედ თითოეულ ადამიანს აქვს განუსაზღვრელად დიდი მნიშვნელობა ჩვენი ხელისუფლებისთვის. ამაზე მეტყველებს ის, რომ ხელისუფლებამ, თქვენი დაკვეთით, თქვენი მხარდაჭერით, მაგალითად ჯანდაცვის სფეროში დაფინანსება 166 მილიონიდან 800 მილიონზე მეტად გაზარდა; ამის მაგალითია ასევე ის, რომ დიდი ინვესტიციები გაკეთდა მოსახლეობის კეთილდღეობისთვის; დიდი ინვესტიციები გაკეთდა ჩვენი შვილების, თქვენი შვილებისა და შვილიშვილების კეთილდღეობისთვის; აშენდა ახალი ბაღები, გარემონტდა სკოლები რაც მთავარია, გურულები რომ ყველაზე მაგრად ვაფასებთ, ქვეყანაში არის მშვიდობა, სწორედ თქვენი მხარდაჭერით მოვახერხეთ, რომ ამ წლებში საქართველო რეგიონში ყველაზე უსაფრთხო, ყველაზე სასურველი და მიმზიდველი ქვეყანაა.

ჩვენ თავს არ მივცემთ იმის უფლებას, რომ მიგითითოთ, რა არჩევანი უნდა გააკეთოთ, მაგრამ დარწმუნებულები ვართ, რომ საზოგადოების მხარდაჭერა, თქვენი მხარდაჭერა აქვს იმ საქმეებს, და იმ გეგმებს, რომლის გაკეთებასაც ჩვენ ვაპირებთ ისევ თქვენი მხარდაჭერით.

აქ არის ჩვენი კანდიდატი ოზურგეთის მერის არჩევნებში, ბატონი ბეგი სიორიძე არის ჩვენი გუნდის წევრი, „ქართული ოცნების“ კანდიდატი, ჩვენ მასთან ვაპირებთ თანამშრომლობას და დღეს გვინდა, კიდევ ერთხელ დავრწმუნდეთ, რომ ჩვენს სამომავლო გეგმებს აქვს თქვენი განახლებული მხარდაჭერა. როგორც თქვენ მიერ არჩეული პარლამენტის წევრი, 12 ნოემბრის გამარჯვების შემდეგ, როდესაც ბატონი ბეგი, თქვენი მხარდაჭერით, იმედია, გახდება მერი, მე პირადად, თქვენთან ერთად გავაკონტროლებ ყველა იმ საქმეს, ყველა იმ დაპირებას, რომელიც ჩვენ მიერ არის გაცემული.

დღეს, ამ სცენაზე, ამ საზოგადოების წინაშე მართლაც წელგამართული ვდგავარ და შემიძლია ყველას თვალი გავუსწორო, ყველას გახსოვთ, შარშან, საპარლამენტო არჩევნების დროს, ეს შენობა როგორ იყო იავარქმნილი, ჩამოდიოდა წყალი, ჩამონგრეული იყო ჭერი. როცა შევიკრიბეთ დაგპირდით, რომ მალე კეთილმოწყობილი ცენტრი გექნებოდათ და ხედავთ თუ როგორ შეასრულეს ეს დაპირება ბატონმა მერაბ ჭანუყვაძემ და ბატონმა ბეგი სიორიძემ, ასევე იცით, რომ მოხდა თქვენი სოფლის მთლიანი გამრიცხველიანება, გაზიფიკაცია პრაქტიკულად ბოლომდეა მისული. ამ სოფელში სამომავლო გეგმებიც არის მნიშვნელოვანი აუცილებლად გადაწყდება წყალმომარაგებისა და შიდა გზების კეთილმოწყობის საკითხები“.

კახი კალაძე: „დიდი მადლობა ასეთი გულთბილი შეხვედრისათვის. მჯერა, რომ თქვენი მხარდაჭერით თვითმმართველობის არჩევნების მეორე ტურში გაიმარჯვებს „ქართული ოცნების“ კანდიდატი, ბატონი ბეგლარ სიორიძე.

ჩემი ოპონენტებიდან ერთ-ერთი დადიოდა საარჩევნი კამპანიის ფარგლებში და ამბობდა, რომ მე მარტო ყველაფერს გავაკეთებო. ვერავინ ვერაფერს მივხედავთ მარტო, თუ არ გვყავს ძლიერი, კომპეტენტური, პროფესიონალი და პატიოსანი ადამიანებისგან დაკომპლექტებული გუნდი, თუ არ გვაქვს სახელისუფლებო მხარდაჭერა. ვინც არ უნდა იყოს ხელის შემშლელი, რა ინფორმაციებიც არ უნდა გაავრცელოს. არავის არაფერი გამოუვა. დღეს ქვეყანაში არ ბნელა, ყველა ყველაფერს კარგად ხედავს. მჯერა თქვენი გულისხმიერების. გულწრფელად მინდა გისურვოთ წარმატებები“.

ირაკლი კობახიძე: „მოდით, კიდევ ერთხელ მხარი დავუჭიროთ ჩვენს კანდიდატს, ბატონ ბეგი სიორიძეს, ვინც გასული ოთხი წლის განმავლობაში პირნათლად ემსახურებოდა თავის მშობლიურ ქალაქს, მუნიციპალიტეტს. მას შემდეგ, რაც წარმატებით ჩატარდება მეორე ტური, დარწმუნებული ვართ, ბატონი ბეგი განახლებული ენერგიით შეუდგება თავის საქმეს და მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში იზრუნებს იმაზე, რომ ოზურგეთი გახდეს კიდევ უფრო განვითარებული, კიდევ უფრო წარმატებული რაიონი. რა თქმა უნდა, ოზურგეთის წარმატება იქნება მთელი ჩვენი ქვეყნის წარმატებაც“.

მამუკა მდინარაძე: „დარწმუნებული ვარ, 12 ნოემბერს სწორ გადაწყვეტილებას მიიღებთ, ასევე დარწმუნებული ვარ, ძალიან კარგად გესმით ცენტრალური ხელისუფლების მხარდაჭერისმნიშვნელობა. ჩვენ რომ არ გითხრათ, თქვენ თვითონვე კარგად ხედავთ ოპონენტები ცდილობენ დეზინფორმაციების გავრცელებით აწარმოონ თავიანთი საარჩევნო კამპანია, თქვენ იცით, რომ „ქართული ოცნების“ სახით საქმე გაქვთ კარგად შეკრულ, გულწრფელ გუნდთან, რომელსაც აქვს საერთო მიზნები და ამოცანები, რასაც ჰქვია ქვეყნის განვითარება, თითოეული რეგიონისა და რაიონის განვითარება, ასეთ გუნდს შესწევს ძალა, რომ პასუხისმგებლობა აიღოს მის მიერ დასახელებული კანდიდატის სამომავლო ქცევებზე, სამომავლო სწორ მოქმედებებზე. აქედან გამომდინარე, მინდა, კიდევ ერთხელ დაგიფიქსიროთ, რომ ჩვენი გუნდის გადაწყვეტილებით, გადაწყდა, რომ ამ რაიონში მერობის კანდიდატი ყოფილიყო ბეგი სიორიძე. დარწმუნებული ვარ, ეს ადამიანი მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში კიდევ მეტი საქმის გაკეთებას შეძლებს, ხაზგასმით ვამბობ, ცენტრალური ხელისუფლების გვერდით დგომით“.

ბეგი სიორიძე: „თქვენი გვერდში დგომით ჩვენ 12 ნოემბერს დამაჯერებლად გავიმარჯვებთ. რეალობად იქცევა ყველა ჩვენი დაპირება. ბევრი ახალი პროექტი იქნება ჩვენს მუნიციპალიტეტში. მე და ჩემი თანაგუნდელები, თქვენთან ერთად, მუხლჩაუხრელი შრომით, ბოლომდე მივიყვანთ დაწყებულ პროექტებს, რასაკვირველია, წამოვიწყებთ უამრავ ახალ პროექტსაც. მომდევნო 4 წელიწადში ოზურგეთის მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროექტები ასახვას პოვებს თითოეული თქვენგანის კეთილდღეობაზე“.

„ქართული ოცნების“ ლიდერთა მონაწილეობით ბეგი სიორიძის საარჩევნო შტაბის 8 ნოემბრის ღონისძიებები ქალაქ ოზურგეთში, რკინიგზის სადგურის წინ გამართული აქციით დამთავრდა, რომელსაც უამრავი ამომრჩეველი დაესწრო.

დამოუკიდებელი მერობის კანდიდატის საარჩევნო შტაბი ითხოვს შეწყდეს ამომრჩევლებზე ზეწოლა

ვთ ჩემი პირადი მონაცემები. შეთავაზებაც კი არ მქონია, არც შარაშენიძის მხარდამჭერი ვარ და ძალიან დიდ გაურკვევლობაში აღმოვჩნდი. იქნებ, თქვენ დამეხმაროთ და გამარკვევინოთ რატომ გააკეთეს ასეთი რამ და საიდან მოხვდა შარაშენიძის შტაბში ჩემი პირადობის მოწმობის ასლი“, – გვთხოვა როყვამ, რომელიც სოფელ ოზურგეთში „ევროპული საქართველოს“ დეპუტატობის კანდიდატი იყო. (წერს გაზეთი „გურის ნიესი“).

გიორგი სირაძემ წარმოადგინა ვიდეო მასალა, გიორგი როყვას მობილურიდან გამოგზავნილი მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით, რომელიც მისი მობილური ტელეფონიდანაა ამოღებული. გარდა ამისა, არსებობს სათვალთვალო კამერის მიერ გადაღებული მასალა, 7 ნოემბერს 14 საათი და 30 წუთიდან 16 საათი და 00 წუთამდე დროის არეალში, სავარაუდოდ როგორ გავიდა გიორგი როყვა სამსახურის შენობიდან (იგი „მედალფას“ კლინიკაში მუშაობს) და სამსახურის მიმდებარე ტერიტორიაზე როგორ ჩაჯდა ჩვენთვის უცნობ მანქანაში. ზუსტად დროის ამ ინტერვალში მიღებულია მისგან დაახლოებით ოცამდე ტექსტური შეტყობინება, განხორციელებულია არაერთი სატელეფონო ზარი.–მოუყვა ჟურნალისტებს ირაკლი სირაძემ.

სირაძემ ასევე განაცხადა: –მინდა კიდევ ერთ საკითხზე გავამახვილო ყურადღება. კერძოდ, ერთ-ერთი მედიასაშუალების მიერ 7 ნოემბერს 19 საათსა და 55 წუთზე გავრცელდა ინფორმაცია გიორგი როყვასთან დაკავშირებით. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ 7 ნოემბერს 20 საათსა და 58 წუთზე გიორგი როყვას მიერ ჩემს ნომერზე შემოსულია შეტყობინება, რომელსაც გთავაზობთ უცვლელად: „ირაკლი, ჩემთან არავის დაურეკია ჟურნალისტს და არავის არაფერი უკითხავს, ღმერთს გეფიცები. საერთოდ შემეშვას ყველა. კიდევ ერთხელ ბოდიში. ჩემთვის არავის არაფერი დაურეკია და არ უკითხავს..“

აქვე აღვნიშნავ, რომ გიორგი როყვას ვერ დავუკავშირდი გუშინ საღამოს, რადგანაც მისი მობილური ტელეფონი გათიშული იყო; ამ დილით სამსახურში არ მოსულა ჩვეულ დროს – 9 საათიდან 10-ის ნახევრამდე; ასევე, მომაწოდეს ინფორმაცია რომ, ის გასულა სახლიდან ამ დილით, დაახლოებით, 5 საათზე, გამთენიისას და ვერავინ გვეუბნება, სად იმყოფება; ამ დრომდე სამსახურში არ მისულა. ასევე, შტაბში იმყოფებოდა გიორგი როყვას მამიდა, რომელიც თავადაც ეძებდა გიორგის.

გაზეთმა „გურია ნიუსმა“ ბრიფინგის შემდეგ კიდევ ერთხელ დაადასტურა გიორგი როყვასთან ჟურნალისტის საუბრის სისწორე და აღნიშნა, რომ, ***„ჩანაწერი, რომელიც პირად ინფორმაციას შეიცავს და ამის გამო არ გაგვისაჯაროებია, ინახება რედაქციაში და მზად ვართ, საჭიროების შემთხვევაში, გადავცეთ სამართალდამცავ ორგანოებს.“***

გიორგი როყვამ რომელიც ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში „ევროპული საქართველოდან“ კენჭს იყრიდა სოფელ ოზურგეთის მაჟორიტარულ ოლქში გაზეთ „ალიონისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ამბობდა: *„არჩევნებამდე სულ ცოტა დრო რჩება და, რა თქმა უნდა, ტემპერატურა იმატებს, მაგრამ საარჩევნო მზადება მშვიდ გარემოში მიმდინარეობს. ამ ეტაპზე ოპონენტების მიმართ არ შეიმჩნევა ადმინისტრაციული რესურსის ბოროტად გამოყენება.“*(„ალიონი,“ 15 ოქტომბერი, № 40).

„ევროპული საქართველოს“ ოზურგეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე **მიხეილ გოგოტიშვილი** ამბობს, რომ „გიორგი როყვა არაა მათი პარტიის წევრი, იგი მათი მხარდამჭერია და ადგილობრივი თვითმმართველობს არჩევნებში მასზე დიდ იმედება ამყარებდნენ, თუმცა მან №43 სოფელ ოზურგეთის საარჩევნო ოლქში 257 ხმა (35,6%) მიიღო, გამარჯვებულზე 54 ხმით ნაკლები. არჩევნების შედეგი გავასაჩივრეთ საოლქო კომისიაში, ადგილობრივ სასამართლოში, სააპელაციოში, მაგრამ უშედეგოდ. ძალიან შეწუხებული ვართ, თუ სად გაქრა ეს ბიჭი, მქონდა სატელეფონო ზარები მის ახლობლებთან, მაგრამ ვერაფერი გავიგე. მაინც ვფიქრობ, რომ ეს უხერხულობის მომენტია.“– განაცხადა გოგოტიშვილმა.

„ქართული ოცნების" ოზურგეთის შტაბის ხელმძღვანელმა **გიორგი ღურჯუმელიძემ** გაზეთ „ალიონთან“ განაცხადა, რომ თუ არსებობს დამოუკიდებელი მერობის კანდიდატზე ზეწოლის დამადასტურებელი ფაქტები, შარაშენიძის შტაბმა ამისთვის შესაბამის სამართალდამცავ ორგანოებს, უნდა მიმართონ, რომლებიც ამ საქმეს გამოიძიებენ. გიორგი ღურჯუმელიძე მოუწოდებს სამართალდამცავებს, დროულად გამოიძიონ გიორგი როყვას საქმე.

* * *

ბრიფინგზე სიტყვით გამოვიდა კონსტანტინე შარაშენიძის მხარდამჭერი **მერაბ შათირიშვილი,** რომელმაც განაცხადა, რომ იგი 2012 წელს „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი დამფუძნებელი იყო, იგი მიესალმება ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში „ქართული ოცნების“ გამარჯვებას, თქვა, რომ მან პირადად მიულოცა გამარჯვება თბილისის მერობისთვის არჩევნებში კახა კალაძეს, მაგრამ „ქართული ოცნებიდან“ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერობის კანდიდატი მისთვის მიუღებელია.

შარაშენიძის მხარდამჭერები პრეზიდენტს, პრემიერს და პარლამენტის თავმჯდომარეს მიმართავენ

9 ნოემბერს ოზურგეთის მერობის კანდიდატის კონსტანტინე შარაშენიძის შტაბში მხარდამჭერებმა წერილობით მიმართეს პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილს, პრემიერ გიორგი-კვირიკაშვილს და პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძეს.

„...დღემდე არსებულ არც ერთ მთავრობას არ უკადრებია ჩვენთვის ის, რ აც ოზურგეთში ხდება ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების გამცხადების შემდეგ. თქვენი სრული გულგრილობის ფონზე, დანაშაულებრივი მეთოდებით, ადგილობრივ ხელისუფლებაში დარჩენას ცდილობს კრიმინალური მენტალობის კორუმპირებული დაჯგუფება...

არსებულ მდგომარეობაზე თუ დღემდე არაფერი იცოდით, ამჟამად საჯაროდ ვახდენთ თქვენს ინფორმირებას, რომ წინასაარჩევნო პერიოდში გურიაში, კერძოდ კი ოზურგეთში კრიმინალური დაჯგუფების მიერ ადგილობრივ ხელისუფლებაში დარჩენის მიზნით ხორციელდება: ამომრჩევლებზე ძალადობა, დაშინება, შანტაჟი და მოსყიდვა. ჯერარნახული ზეწოლა ადგილობრივ ხელისუფლებაში დასაქმებულ ადამიანებზე. ნარკოტიკების გადაცემა კრიმინალური მენტალობის ადამიანებისთვის, სახელისუფლებო კანდიდატის დახმარების სანაცვლოდ. ანგარიშსწორების მუქარით გადაუბირებელი ამომრჩევლისათვის არჩევნებზე გამოუცხადებლობის მოთხოვნა."

ხელმოწერების შემდეგ მერობის კანდიდატმა, შტაბის წევრებმა და მხარდამჭერებმა ქალაქის ქუჩებში მსვლელობა მოაწყვეს.

გურულების არაჩვეულებრივი გამოფენა

მალე გალერეაში სამუელ ბეკეტის აზროვნებასა და ფილოსოფიას გაითამაშებენ

ალიონი. მერაბ ბერძენიშვილის სახელობის ქალაქ ოზურგეთის თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრში 7 ნოემბერს გურიის მხატვართა შემოქმედებითი კავშირის მე-7 საშემოდგომა გამოფენა გაიხსნა. შემოდგომის მსუყე სურნელით გაჯერებულ გალერეაში გამოფენილია როგორც ცნობილი, ისე ახალბედა მხატვრების ნამუშევრები. თემატურად და ჟანრობრივად მრავალფეროვანმა გამოფენამ კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ გურიაში სახვითი ხელოვნების დარგი იყო, არის და იქნება მაღალ დონეზე.

ხელოვნებათმცოდნე **ლია ურუშაძის** თქმით, საშემოდგომო გამოფენისთვის არა მხოლოდ მხატვრები, არამედ სახვით ხელოვნების დამფასებელი, ახლის ნახვის მსურველი დამთვალიერებლებიც განსაკუთრებულად ემზადებიან:

„უპირველესად, მინდა დიდი მადლობა გადაგიხადოთ, რომ დრო გამონახეთ და მობრძანდით ამ საზეიმო ღონისძიებაზე. დიახ, ეს ზეიმია, შემოქმედებითი ზეიმი, რომლისთვისაც განსაკუთრებულად ემზადებიან არა მხოლოდ გურიაში მოღვაწე მხატვრები, არამედ ახლის ნახვისა და აღქმის მსურველი სახვითი ხელოვნების თაყვანისმცემლები, თითოეული ჩვენგანი. წლევანდელი საშემოდგომო გამოფენა განსაკუთრებულია იმით, რომ მასში მონაწილეობენ როგორც გამოცდილი, საქველად ცნობილი მხატვრები, ისე ახალბედები, დებიუტანტები. უპირველესად. მათ მინდა მივულოცო პირველი გამოფენის განცდით გამოწვეული მღელვარება და სიხარული. ჩვენ გალერეას ფერთა ზეიმი არასოდეს ჰკლებია, მაგრამ დღევანდელი, ჩემი აზრით, განსაკუთრებულია. თქვენ აქ უკვე ნახეთ და გამოფენის ოფიციალურად გახსნის შემდეგაც შეგიძლიათ ნახოთ თემატურად საინტერესო და ჟანრობრივად მრავალფეროვანი სახვითი ხელოვნების ნამუშევრები ოზურგეთელი, ჩოხატაურელი და ლანჩხუთელი მხატვრებისა“.

გამოფენა დათვალიერეს და მერაბ ბერძენიშვილის სახელობის ქალაქ ოზურგეთის თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრს, გურიის მხატვართა შემოქმედებით კავშირსა და გამოფენის მონაწილე მხატვრებს წარმატებები უსურვეს გურიის გუბერნატორმა **მერაბ ჭანუყვაძემ** და ქალაქის მერმა **ბეგლარ სიორიძემ.**

გამოფენის მონაწილეებსა და დამთვალიერებლებს გურული მხატვრებისა და თეატრალების ერთობლივი, ორიგინალური პროექტი გააცნო ოზურგეთის ალ. წუწუნავას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა **ვასილ ჩიგოგიძემ:**

„სამუელ ბეკეტი შემოგვყავს ოზურგეთის თეატრში და გალერეაში თავისი თამაშით. სპექტაკლის პრემიერაც გაიმართება გალერეაში, ამ ადგილას, სადაც ახლა ჩვენ ვართ, ეს არ იქნება ხანგრძლივი დროით, იქნება მაქსიმუმ 25 წუთი, მაგრამ გადავწყვიტეთ, რომ სამუელ ბეკეტის აზროვნება და ფილოსოფია ამ დარბაზში გავითამაშოთ. როგორც რეჟისორი, სპექტაკლზე იმუშავებს ჩვენს თეატრში აღზრდილი, თითოეული თქვენგანისთვის უკვე კარგად ცნობილი ახალგაზრდა კაცი მამუკა ბაბილოძე, მხატვარი იქნება ბატონი თამაზ დარჩია. მოკლედ, ასე წარმოვიდგენთ საოცარ სამუელ ბეკეტს თავისი სირთულეებით. აქვე მინდა, ჩოხატაურელთა და ლანჩხუთელთა გასაგონად ვთქვა: ამ სპექტაკლს ჩვენ ვითამაშებთ მხოლოდ და მხოლოდ სამხატვრო გალერეებში, ოზურგეთში, ჩოხატაურში, ლანჩხუთში, თბილისში, შესაძლებელია, ევროპასა და ამერიკაშიც“.

სკანვორდი



№ 43-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე — დავით სარაჯიშვილი; კედლის სანათი — ბრა; სოფელი სვანეთში — უშგული; რაზეც აფრას ამაგრებენ — ანძა; სიკვდილის ღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში — აიბზუ; ბებერი წვერებიანი ბალახი — ბბუაწვერა; ადამიანსაც ჰქვია და ფრინველსაც — გუგული; ერთ-ერთი ხეობა საქართველოში — თრუსო კორეის დედაქალაქი — სეული; ჭრილობის დასამუშავებელი ხსნარი — იოდი; მარტოხელა, გარიყული — ეული; შემოდგომის ბოლო თვე — ნოემბერი; მუსიკალური ინსტრუმენტი — გიტარა; მამაკაცის სახელი — ასლანი; ფუტკრის პროდუქტი — დინდგილი; ვაჟიშვილი — ძე; სამკურნალო მცენარე — ანწლი; კავშირი — და; რითაც ადამი აცდუნეს — ვაშლი; მოხუცი — ბებერი; საეკლესიო პირი — ბერი; დიდი ისტორიული მონაკვეთი — ერა; „ოპერის ოსკაროსანი“ — ნინო სურგულაძე; პეტრე... — იბერი; დახრილი ხაზი სიტყვებს შორის — დრობი; ორი კაცის გასათბობი — ბუხარი; უხერხული მოყვარე — სიძე; საეკლესიო რიტუალი — ლიტურგია; ადგილმდებარეობის მითითება — იქ; ვერდის ოპერა — აიდა; რითაც ჰოკეის თამაშობენ — შაიბა; კომში — ბია; კურკოვანი ხილი — ატამი; მარცვლოვანი კულტურა — ღომი; ქართული საესტრადო ანსამბლი — ორერა; სამყაროში ცეცხლის ადგილი — ქერო; გამწევი ძალა — ხარი; ჭრილობა — იარა.

7 დღის ამინდის პროგნოზი

მზე, ღრუბელი +6+15
10 ნოემბერი - პარასკევი

მზე +6+15
11 ნოემბერი შაბათი

მზე, ღრუბელი +8+15
12 ნოემბერი კვირა

მზე, ღრუბელი +9+19
13 ნოემბერი ორშაბათი

მზე, ღრუბელი +7+20
14 ნოემბერი სამშაბათი

მზე, +10+17
15 ნოემბერი ოთხშაბათი

მზე, +10+17
16 ნოემბერი ხუთშაბათი